საქართველოს მთავრობის

დადგენილება №255

2010 წლის 20 აგვისტო

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს თანდართული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულება.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 16 მარტის №46 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (შემდგომში – ბიურო) არის,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონისა და,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფო ქონების განკერძოების გზით შექმნილი დაწესებულება, რომლის მიზანია, კანონმდებლობით დადგენილი წესით და კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობ ით, ამ დებულებით განსაზღვრული ექსპერტიზებისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის მომზადება და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2. ბიუროს სრული სახელწოდებაა – „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“.

3. ბიურო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, ამ დებულებით და იგი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის წინაშე.

4. ბიურო საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ ან/და მოპასუხედ.

5. ბიუროს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ემბლემა, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, ასევე სხვადასხვა სახის ბეჭდები (მათ შორის, ემბლემის გამოსახულებით), შტამპები და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

6. ბიუროს ბეჭდების და შტამპების აღწერილობას, ნიმუშებსა და გამოყენების წესს ამტკიცებს ბიუროს უფროსი.

7. ბიუროს ემბლემა გამოიყენება ბიუროს ბლანკებსა და ბიუროს შესასვლელის აბრაზე, ბიუროს ტერიტორიული ორგანოების, სამედიცინო და ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტების, კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტი) შენობების შესასვლელების აბრებზე, ასევე თანამშრომელთა სავიზიტო ბარათებზე, ბეჭდვით გამოცემებსა და სუვენირებზე.

8. ბიუროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი № 84.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №339 - ვებგვერდი, 17.12.2013წ.

თავი II
ბიუროს ფუნქციები და უფლებამოსილებები

მუხლი 2

ბიუროს ფუნქციებია:

ა) სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) სასამართლო-საექსპერტო მომსახურების განხორციელება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

ბ[1]) სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასება და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის განხორციელება, ახალი მეთოდების დანერგვა და გამოკვლევათა მეთოდიკების სრულყოფა;

დ) საქართველოს და საერთაშორისო სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ე) დაქტილოსკოპიური, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოლოგიური აღრიცხვის მონაცემთა საინფორმაციო ბაზების წარმოება;

ვ) ბეჭდვითი პროდუქციის გამოცემა სასამართლო ექსპერტიზის საკითხების შესახებ;

ზ) მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.

მუხლი 3

1. ბიურო უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს:

ა) ვიდეო, ფონოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა;

ბ) ბალისტიკური, ტრასოლოგიური და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა;

გ) სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა;

დ) რადიაციული და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;

ე) დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა;

ვ) სასაქონლო ექსპერტიზა;

ზ) ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზა;

თ) საინჟინრო ექსპერტიზა;

ი) ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა;

კ) კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;

ლ) ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზა;

მ) ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;

ნ) ნარკოლოგიური შემოწმება და ექსპერტიზა;

ო) ნივთიერებათა, მასალათა და ნაკეთობათა, მცენარეთა ექსპერტიზა;

პ) სამედიცინო ექსპერტიზა (ცოცხალი პირებისა და გვამების, სამედიცინო-კრიმინალისტიკური);

ჟ) ჰისტოლოგიური ექსპერტიზა;

რ) ბიოლოგიური ექსპერტიზა (გენეტიკური, სეროლოგიური);

ს) ფსიქიატრიული შემოწმება და ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული); ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობისათვის სავალდებულო ექსპერტიზა (ამბულატორიული, სტაციონარული);

ტ) კომპიუტერული ექსპერტიზა;

უ) სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასება;

ფ) ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება.

2. ბიურო უფლებამოსილია კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს სხვა სახის ექსპერტიზებიც.

3. ბიურო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლო-საექსპერტო მომსახურების განხორციელების მიზნით, გამოითხოვოს, მიიღოს და დაამუშაოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული პერსონალური მონაცემები: ფიზიკური პირის ფოტოსურათი/ ფოტოსურათები (თუ მონაცემთა ბაზაში დაცულია რამდენიმე

ფოტოსურათი), სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, პირადი ნომერი, პირადი ხელმოწერა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება, მოწმობის გაცემის თარიღი, მოწმობის მოქმედების ვადა, მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, მოქალაქეობა, სქესი. კონკრეტული მიზნის შესაბამისად პროპორციული მონაცემების დამუშავებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ბიუროს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილება №250 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის დადგენილება №74 – ვებგვერდი, 17.02.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.

თავი III
ბიუროს მართვა და წარმომადგენლობა

მუხლი 4

1. ბიუროს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

2. ბიუროს უფროსი საქმიანობას წარმართავს ერთპიროვნულად. მასვე ეკისრება ბიუროს წარმომადგენლობა. იგი პერსონალურად აგებს პასუხს ბიუროს საქმიანობის სწორად წარმართვისათვის, ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვისათვის, ბიუროს საკუთრებაში არსებული ქონებისა და იმ ქონებისათვის, რომელიც ბიუროს გადმოცემული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბიუროს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს ბიუროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს ბიუროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) წარმოადგენს ბიუროს და ანიჭებს უფლებამოსილ პირს ბიუროს წარმომადგენლობას;

გ) თვალყურს ადევნებს ბიუროს სტრუქტურული დანაყოფების/ტერიტორიული ორგანოების მიერ მოვალეობათა შესრულების მიმდინარეობას და ახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

დ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების ან/და საქართველოს შრომის კოდექსისა და ამ დებულების შესაბამისად, ნიშნავს (მათ შორის, კონკურსის წესით) და ათავისუფლებს ბიუროს თანამშრომლებს, აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს;

ე) კანონით განსაზღვრული წესით, გარკვეული სამუშაოს შესრულების ვადით, იწვევს სპეციალისტებს ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე;

ვ) კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ზ) ბიუროს სახელით დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

თ) წელიწადში ერთხელ ბიუროს საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს მთავრობას;

ი) უზრუნველყოფს სასამართლო-საექსპერტო საქმიანობის კონტროლსა და მეთოდურ ხელმძღვანელობას;

კ) „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს ხარჯთა ნუსხებს, აკონტროლებს მათ შესრულებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;

ლ) ამტკიცებს ბიუროს საშტატო ნუსხას, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და სახელფასო ფონდს;

მ) ამტკიცებს ბიუროს სტრუქტურული დანაყოფების/ტერიტორიული ორგანოების დებულებებს და განსაზღვრავს მათ სამოქმედო ტერიტორიებს;

ნ) პასუხს აგებს შესაბამისი სახელმწიფო ქონების დაცვისა და მიზნობრივი გამოყენებისათვის და ორგანიზებას უწევს ამ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ო) უფლებამოსილია კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის მოსამზადებლად შექმნას კომისიები;

პ) სხვადასხვა სამართალურთიერთობის რეგულირების მიზნით, ამტკიცებს ბიუროს შინაგანაწესს, განსაზღვრავს თანამშრომელთა ფუნქციებს და, საჭიროების შემთხვევაში, ამტკიცებს სამსახურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ჟ) ამტკიცებს ბიუროში სტაჟირების გავლის წესს;

რ) ამტკიცებს ბიუროში კონკურსის ჩატარების წესს;

ს) ამტკიცებს ბიუროს ექსპერტების ტანსაცმლის ფორმისა და ბიუროს თანამშრომლის სამსახურებრივი მოწმობის ნიმუშებს;

ტ) თანამშრომლების მიმართ იყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს;

ტ[1]) უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ბიუროს თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის პირობები და თანაგადახდის ლიმიტები, რომელიც ფინანსდება ბიუროს მიერ;

ტ[2]) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჭიროების შემთხვევაში, ბიუროს თანამშრომლებისათვის განსაზღვრავს სოციალური დაცვის დამატებით საჭიროებებს, შეღავათებსა და კომპენსაციებს: საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული პირველი რიგის მემკვიდრეების

გარდაცვალების შემთხვევაში; თანამშრომლის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობის შემთხვევაში და სხვა საპატიო მიზეზის გათვალისწინებით, რაც ბიუროს უფროსის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს. თანამშრომელს გამოეყოფა (ხოლო მისი გარდაცვალების შემთხვევაში – მის პირველი რიგის მემკვიდრეს) ერთჯერადი ფულადი დახმარება, თანამშრომლის თანამდებობრივი სარგოს არაუმეტეს ორმაგი ოდენობით;

ტ[3]) იღებს გადაწყვეტილებას ბიუროს იმ თანამშრომლის საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფაზე/ბინის ქირავნობაზე, რომელსაც უწევს სხვა მუნიციპალიტეტში სამსახურებრივი გადაადგილება, რაც დაკავშირებულია ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან. თანამშრომლის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის წესისა და პირობების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მტკიცდება ბიუროს უფროსის ბრძანებით.

უ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

ფ) უფლებამოსილია, მოახდინოს მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის უფლების დელეგირება ბიუროს უფროსის პირველ მოადგილესა და მოადგილეებზე.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის დადგენილება №339 - ვებგვერდი, 17.12.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 09.09.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის დადგენილება №74 – ვებგვერდი, 17.02.2022წ.

მუხლი 5

1. ბიუროს უფროსს ჰყავს მოადგილეები, მათ შორის, ერთი პირველი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბიუროს უფროსი.

2. (ამოღებულია - 20.04.2022, №213).

3. ბიუროს უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებები განისაზღვრება ბიუროს უფროსის ბრძანებით.

4. ბიუროს უფროსის არყოფნის ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე ან ერთ-ერთი მოადგილე, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის დადგენილება №22-ვებგვერდი,18.01.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის დადგენილება №74 – ვებგვერდი, 17.02.2022წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 20 აპრილის დადგენილება №213 – ვებგვერდი, 21.04.2022წ.

თავი IV
ბიუროს სტრუქტურა

მუხლი 6

ბიუროს შემადგენლობაში შედის:

ა) სტრუქტურული დანაყოფები;

ბ) ტერიტორიული ორგანოები;

გ) (ამოღებულია – 13.05.2011, №211).

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

მუხლი 7

ბიუროს სტრუქტურული დანაყოფებია:

ა) (ამოღებულია - 15.08.2023, №313)

ბ) შიდა ინსპექტირების დეპარტამენტი;

გ) სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტი;

დ) ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტი;

ე) ქიმიური ექსპერტიზის დეპარტამენტი;

ვ) ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი;

ზ) (ამოღებულია - 16.10.2024, №350);

თ) კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი);

ი) კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი;

კ) საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტი;

ლ) ეკონომიკური დეპარტამენტი;

მ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი;

ნ) (ამოღებულია - 16.10.2024, №350);

ო) (ამოღებულია - 16.10.2024, №350);

პ) (ამოღებულია - 16.10.2024, №350);

ჟ) (ამოღებულია - 16.10.2024, №350);

რ) სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტი;

ს) ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტი;
ტ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
უ) ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №470 - ვებგვერდი, 13.12.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 09.09.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №350 - ვებგვერდი, 17.10.2024წ.
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 27.01.2025წ.

მუხლი 8

ბიუროს ტერიტორიული ორგანოებია:
ა) დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი;
ბ) აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტი.

მუხლი 8[1]. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

მუხლი 9

1. ბიუროს სტრუქტურული დანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების კომპეტენცია განისაზღვრება ამ დებულებით, ასევე შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფისა და ტერიტორიული ორგანოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ბიუროს უფროსი.
2. (ამოღებულია – 13.05.2011, №211)
3. სტრუქტურული დანაყოფი/ტერიტორიული ორგანო შეიძლება დაიყოს სტრუქტურულ ერთეულებად, რომელთა სახელწოდება და კომპეტენცია განისაზღვრება შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის/ტერიტორიული ორგანოს დებულებით.
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

მუხლი 10. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №470 - ვებგვერდი, 13.12.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 09.09.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.

მუხლი 11

შიდა ინსპექტირების დეპარტამენტის ამოცანებია:
ა) შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლის განხორციელება;
ბ) ბიუროს თანამშრომელთა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის, შინაგანაწესისა და ეთიკის ნორმების მოთხოვნათა დაცვაზე კონტროლი;
გ) კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემა;
დ) ბიუროს თანამშრომელთა მიერ მათზე კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება;
ე) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულების კონტროლის განხორციელება;
ვ) ბიუროში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურებრივი კონტროლი;
ზ) სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ საკითხებზე კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება;
თ) ბიუროს თანამშრომელთა სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტების გამოვლენა, შესწავლა და შესაბამისი რეაგირება;
ი) ბიუროს თანამშრომელთა მხრიდან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა, შესაბამისი რეაგირება;
კ) ბიუროს თანამშრომელთა სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, შემოწმების შედეგების შესახებ დასკვნის შედგენა და ბიუროს უფროსისათვის წარდგენა;
ლ) სამსახურებრივი შემოწმების პროცესში ბიუროს თანამშრომელთა საქმიანობაში აღმოჩენილი ხარვეზებისა და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
მ) ბიუროში შემოსული საჩივრის/განცხადების განხილვისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება;
ნ) საჩივრის/განცხადების განხილვის შედეგებზე შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადება.
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 09.09.2021წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.

მუხლი 12

სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:
ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად სასამართლო

სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სამედიცინო ექსპერტიზის დარგში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486

მუხლი 13

ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად სასამართლო-ფსიქიატრიული, სასამართლო-ფსიქოლოგიური, კომპლექსური (სასამართლო-ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური) და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად ცნობისათვის სავალდებულო ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სასამართლო-ფსიქიატრიული და სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზების დარგში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილება №250 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.

მუხლი 14

ქიმიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობისა და სამედიცინო სტანდარტების ფარგლებში, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად, ქიმიური ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნისა და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ქიმიური ექსპერტიზების დარგში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 27.01.2025წ.

მუხლი 14[1]

ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობისა და სამედიცინო სტანდარტების ფარგლებში, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად, ნარკოლოგიური ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნისა და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ნარკოლოგიური ექსპერტიზების დარგში.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 27.01.2025წ.

მუხლი 15

ბიოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე სასამართლო ბიოლოგიის დარგში საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად სპეციალური გამოკვლევების, სასამართლო ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური და

სხვ.) ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ბიოლოგიური ექსპერტიზის დარგში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486

მუხლი 16

სასაქონლო ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად, სასაქონლო ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნისა და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სასაქონლო ექსპერტიზების დარგში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №350 - ვებგვერდი, 17.10.2024წ.

მუხლი 16[1]

ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად, ფინანსური ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნისა და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება ფინანსური ექსპერტიზების დარგში.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №350 - ვებგვერდი, 17.10.2024წ.

მუხლი 17

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობისა და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის (დეპარტამენტი) ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი გამოკვლევების ჩატარება, საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად საინჟინრო ექსპერტიზის ჩატარება, შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საინჟინრო ექსპერტიზის ჩატარება;

გ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;

დ) საქართველოს და საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ე) სამეცნიერო კვლევების განვითარება არსებული შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული უსაფრთხოების რესურსების შეფასების, მათი გაძლიერებისა და მოდიფიკაციის მიმართულებით;

ვ) სამეცნიერო კვლევების ჩატარება სამშენებლო კონსტრუქციების დეფექტების, შენობა-ნაგებობების რეალური სეისმომედეგობის, მათი ნარჩენი რესურსების, სეისმომედეგობის დეფიციტის დასადგენად;

ზ) მშენებლობის პროექტების ექსპერტიზების ჩატარება;

თ) შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზა დეტალური გამოკვლევებით. ისეთი ფაქტორების პროგნოზირება, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ საიმედოობას სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საშიში სიტუაციებისას;

ი) ახალი ტიპის სეისმომედეგი შენობა-ნაგებობებისა და სამშენებლო კონსტრუქციების სამეცნიერო გამოკვლევა;

კ) საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სამრეწველო დანიშნულების შენობა-ნაგებობების არსებული კონსტრუქციული სისტემების სამეცნიერო გამოკვლევა;

ლ) სეისმომედეგობის დეფიციტის გამოვლენა და შენობების გაძლიერება-გამაგრების რადიკალურ ღონისძიებებთან დაკავშირებული, სამეცნიერო გამოკვლევაზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავება და გაცემა;

მ) შენობების გამაგრება-გაძლიერების პროექტების შედგენა;

ნ) კომპოზიციური მასალების ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების დადგენა;

ო) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების სეისმური რისკის დადგენა და სეისმური უსაფრთხოების ღონისძიებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და გაცემა;

პ) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ლოკალური საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედნების სეისმურობის შეფასება და სეისმური რისკის შემცირების ღონისძიებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და გაცემა;

ჟ) ნაშენზე მოქმედი სეისმური დატვირთვისა და ნარჩენი დეფორმაციების განსაზღვრა და რეკომენდაციების გაცემა;

რ) გეოტექნიკური საექსპერტო კვლევების ჩატარება მშენებლობებისა და სამშენებლო მოედნების სეისმურობის შესაფასებლად;

ს) საინჟინრო კვლევების განხორციელება არსებული შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული უსაფრთხოების რესურსების შესაფასებლად (კომპიუტერული მოდელირება), მათი გაძლიერების და მოდიფიკაციისათვის რეკომენდაციების შემუშავება და გაცემა;

ტ) ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება სამშენებლო ნორმებისა და ნორმატივების დადგენის, შეცვლის ან გაუქმების თაობაზე;

უ) საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

ფ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

ქ) სანებართვო დოკუმენტაციის საექსპერტო შეფასება და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.

მუხლი 18

კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დარგში.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486

მუხლი 19

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) ბიუროს საქმიანობაში თანამედროვე საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით ბიუროს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;

ბ) ბიუროს სტრუქტურული დანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დარგში;

გ) ბიუროს კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო ქსელების ფორმირება-სრულყოფა;

დ) ბიუროში ლოკალური კომპიუტერული ქსელის ფუნქციონირების ხელშეწყობა და ბიუროს ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფა;

ე) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად კომპიუტერული ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ვ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზების ჩატარება;

ზ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

თ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება კომპიუტერული ექსპერტიზისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში.
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486

მუხლი 19[1]

ეკონომიკური დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) ბიუროს ეკონომიკური, ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის კოორდინაცია და მართვა;

ბ) ბიუროს ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;

გ) საფინანსო, სამეურნეო და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და ხარჯთა ნუსხის შედგენა;

დ) ბიუროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №470 - ვებგვერდი, 13.12.2011წ.

მუხლი 20

დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად, ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული, სამედიცინო, ჰისტოლოგიური, საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნისა და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სამედიცინო, ჰისტოლოგიური, საინჟინრო, სასაქონლო, ფინანსური და ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების დარგში.
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 27.01.2025წ.

მუხლი 21

აჭარის რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით, აგრეთვე საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე საჭირო გარემოებების დასადგენად და საკითხების გადასაწყვეტად, სამედიცინო, ჰისტოლოგიური, ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული, საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზების ჩატარება და შესაბამისი დასკვნისა და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა;

ბ) გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების, მოსამართლის განჩინების/დადგენილების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ექსპერტიზების ჩატარება;

გ) სამეცნიერო და მეთოდური მუშაობა, გამოკვლევათა სრულყოფა და ახალი მეთოდების დანერგვა;

დ) თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება სამედიცინო, ჰისტოლოგიური, ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული, საინჟინრო, სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზების დარგში.
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 27.01.2025წ.

მუხლი 21[1]. (ამოღებულია)
საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

მუხლი 21[2]

საერთაშორისო ურთიერთობებისა და ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) ბიუროს ურთიერთობების კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებასთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, კომპეტენციის ფარგლებში;

ბ) საქართველოსა და საერთაშორისო საექსპერტო დაწესებულებებთან, ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობა, კომპეტენციის ფარგლებში;

გ) ბიუროს თანამშრომელთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, წინადადებების/რეკომენდაციის შემუშავება და ხელმძღვანელობასთან წარდგენა (ბიუროს სტრუქტურული დანაყოფების/ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებთან კოორდი-ნაციით), ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა;

დ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საექსპერტო ლაბორატორიების მართვის სისტემის დანერგვა (სტრუქტურული დანაყოფების/ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებთან კოორდინაციით);

ე) საექსპერტო საქმიანობის სფეროში დანერგილი თანამედროვე კვლევითი მეთოდების შესწავლა და ბიუროში მათი დანერგვისათვის საჭირო რესურსების შექმნა;

ვ) სხვა ქვეყნების საექსპერტო სამსახურებთან ურთიერთობების დამყარება და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების კოორდინირება;

ზ) საერთაშორისო კონფერენციების, ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა და ორგანიზება;

თ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამოქმედო პროცედურების შემუშავება, დანერგვა და პერიოდული განახლება, ხარისხის სისტემის წლიური შემოწმება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება;

ი) ბიუროს ხელმძღვანელობის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 სექტემბრის დადგენილება №455 – ვებგვერდი, 09.09.2021წ.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.

მუხლი 21[3]. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №350 - ვებგვერდი, 17.10.2024წ.

მუხლი 21[4]. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №350 - ვებგვერდი, 17.10.2024წ.

მუხლი 21[5]. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №350 - ვებგვერდი, 17.10.2024წ.

მუხლი 21[6]. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №313 – ვებგვერდი, 15.08.2023წ.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №350 - ვებგვერდი, 17.10.2024წ.

მუხლი 21[7]

ადმინისტრაციული დეპარტამენტის ამოცანებია:

ა) ბიუროში საქმისწარმოების ერთიანი სტანდარტის დანერგვა და კონტროლი;

ბ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ინფორმაციის ანალიზი და კოორდინაცია;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, ბიუროს ურთიერთობების კოორდინაცია სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

ე) ბიუროს უფროსის, ბიუროს უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილეების საქმიანობის ორგანიზაციული ხელშეწყობა;

ვ) ადამიანური რესურსების მართვის ოპტიმიზაციის მიზნით, რეკომენდაციის შემუშავება;

ზ) საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, ბიუროს მიერ დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;

ი) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობა, საზოგადოების ინფორმირება ბიუროს კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე;

კ) ბიუროს უფლებებისა და ინტერესების დაცვა სასამართლოსა და კერძო არბიტრაჟში;

ლ) ბიუროს კომპეტენციაში შემავალი საკითხების შესახებ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე იურიდიული და ფიზიკური პირების განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესით განხილვა და მათზე რეაგირება;

მ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №350 - ვებგვერდი, 17.10.2024წ.

მუხლი 22

1. ბიუროს სტრუქტურულ დანაყოფსა და ტერიტორიულ ორგანოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ბიუროს უფროსი.

2. ბიუროს სტრუქტურული დანაყოფის/ტერიტორიული ორგანოს უფროსი:

ა) ანაწილებს მოვალეობებს მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურული დანაყოფის/ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლებს შორის და აძლევს მათ მითითებებს;

ბ) თვალყურს ადევნებს მისდამი დაქვემდებარებული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას;

გ) ხელს აწერს ან ვიზას ადებს სტრუქტურულ დანაყოფში/ტერიტორიულ ორგანოში მომზადებულ დოკუმენტებს (გარდა სტრუქტურულ დანაყოფში გასაგზავნად მომზადებული საექსპერტო დასკვნის

მიმართვისა (მიმოწერის ბლანკისა);

დ) ანგარიშვალდებულია ბიუროს სტრუქტურული დანაყოფის/ტერიტორიული ორგანოს მუშაობისათვის;

ე) წარმოადგენს ბიუროს სტრუქტურულ დანაყოფს/ტერიტორიულ ორგანოს თავისი მოვალეობის შესრულებისას;

ვ) მონაწილეობს ექსპერტიზის ჩატარებაში;

ზ) ბიუროს უფროსს წარუდგენს წინადადებებს ბიუროს სტრუქტურული დანაყოფის/ტერიტორიული ორგანოს სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების, თანამშრომლების წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) შუამდგომლობს იმ სახსრების გამოყოფის თაობაზე, რომლებიც საჭიროა ბიუროს სტრუქტურული დანაყოფის/ტერიტორიული ორგანოს ამოცანათა შესასრულებლად;

ი) შუამდგომლობს ბიუროს სტრუქტურული დანაყოფის/ტერიტორიული ორგანოს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

კ) კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს ამ დებულებით, სტრუქტურული დანაყოფის/ტერიტორიული ორგანოს დებულებით, ბიუროს უფროსის მიერ განსაზღვრულ ამოცანებს.

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.

მუხლი 23. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №413- სსმ III,№172, 31.12.2010წ.,მუხ.2486
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის დადგენილება №211 - ვებგვერდი, 18.05.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 დეკემბრის დადგენილება №470 - ვებგვერდი, 13.12.2011წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის დადგენილება №250 - ვებგვერდი, 04.06.2015წ.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის დადგენილება №74 – ვებგვერდი, 17.02.2022წ.

თავი V
ბიუროს დაფინანსება

მუხლი 24

1. ბიუროს დაფინანსების წყაროებია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავლები;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები;

დ) გრანტები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ბიუროს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

მუხლი 25

1. ბიუროს ქონება შედგება ბიუროსათვის უსასყიდლოდ გადაცემული სახელმწიფო ქონებისა და ბიუროს მიერ შეძენილი (მათ შორის, უშუალოდ ბიუროსათვის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო პირებისა და სხვათა მიერ) სხვა ქონებისაგან.

2. ბიუროს მიერ ქონების შეძენა და გასხვისება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი VI
ბიუროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 26

1. ბიუროს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ბიუროს ლიკვიდაციას ახორციელებენ ლიკვიდატორები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს მთავრობა. ლიკვიდატორი შეიძლება იყოს ბიუროს უფროსიც.

3. ლიკვიდატორები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი საქმიანობა შეზღუდულია ლიკვიდაციის მიზნით.

4. ბიუროს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.